ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 54. კვირა, 11 ივლისი 1910 წ. დამატების № 9



ეჭიმ სამსონ თოლფურიას ბიუსტი.
ქანდაკება ი. ნიკოლაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასარი

—:—

ზაფხულის ტყეში შეველ მარტო ცეცხლით დამწვარი.
მოვწყვიტე თრთოლვით მოკისკროვნე, თეთრი ნასარი *)
ლიმილით მითხრა: „დაგიჭკნები ესრედ ნარნარი“...
რად არ ვუსმინე?.. .... ვზი მარტოქა სულით საპყარი!

—

სთვლემდა წყლის პირად ჩუმად და წყნარად!
იფინებოდა ბინდბუნდი ბარად,
რისთვის დამტოვე ტანჯვის ამარად,
და უნუგეშო უჩანგო ბარად?

—

ვაი, აღარ მყავს მე მეგობარი,
როგორ აღიმსთოს ოცნება წყნარი?
ჟამთა სიმწარე მე გლოვით მიმღერს
და ცრემლთა ტალღა ჩანგს მოთქმით მიჟღერს.

—

მოვწყდი ყველაფერს. ვინ მომცემს შველას?
ვინ დამიბრუნებს შენს მოძღვნილს ლხენას?

—

ჩემო ნასარო, რისთვის განქრა გრძნობა შემკული?
ვაგლახ! თუ იგი წარსულშია ღრმად დამარხულა.
მაშ მითხარ ნანა!.. ნუ, ნუ სდუმხარ, ხმა გამაგონე.
იგი წარსული სანეტარო კვლავ მომაგონე!..

—

სული შემექნა ტანჯვისა წყაროდ
და შევიყვარე ჩუმი ნაღველი;
რა ჟამს დაგიჭნა ნაზი ფურცელი,
მას შემდეგ ვსტირი, აღარას ველი!

—

რისთვის შეგეხე... რად დაგწვი ნორჩი...
აწ ვის მოსთხოვო ტრფობა დანთქმული?
ოჰ, ბედო მრუშო, რისთვის წარმტაცე
ნასარი ჩემი ოდით აღთქმული?

—

ობოლი სულის ობოლი ფიქრი
უცეცხლო, უნდა, მაგრამ მქეჯნავი, —
ეჭვის წყვდიადში შავს ქსელსა მიბავს,
ცრემლით დაშრიტა მან გრძნობის ნავი!

—

აღარ დაგატკბობს ვნება ტკბილი, ფერმილეული,
და ვერც აღგაგზნებს უხილავი კოცნა გრძნეული.
ჩემო ნასარო, ჩემო სულო, გაშალე ფრთები!
ნუ ხარ მდუმარე წყვდიადის ლანდს ნუ ეფარები!
ნუ თუ შენ მოჰკვდი? მზე ხომ ჩემთვის ჩაესვენება?!
ისე გაჰქრები, რომ ნასახიც აღარ დარჩება?

—

ნუ გამიმხელ! მეშინიან!
ჰხედავ თვალნი ცრემლით კრთიან.
მუხანათის შავი წყლულნი
თავს იწევენ და ჰყივიან!

შირვანზადე (ალექსანდრე მოკვსესიანი).

„ევგინეს“ ავტორი.
სომეხთა ნიჭიერი დრამატურგი და მწერალი, ავტორი მრავალ პიესათა
და მოთხრობათა.

—

ჩუმად, ჩუმად! ხმას ნუ გამცემ,
ნუ დაარღვევ მყუდროებას;
ჩემკენ მოჰქრის, ვინც მოგიდნო,
ლამობს სულთან შებრძოლებას!

—

დაიძინე... მეც მოვფრინავ...
გნახავს ადრე შენი მკვლელი;
რად ვერა ჰგრძნობ რომ სამარეს
გეპკურება ცრემლი ცხელი!

—

ჩუმად! ჩუმად! ძაფი გაწყდა...
სჩანს სიკვდილი ახლოვდება...
სუნთქვა მიმძიმს... მიმისვენე...
სივრცე... ვრცელი მიბნელდება...

ა. შანშიაშვილი.

*) სურნელოვანი ყვავილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე ვ გ ი ნ ე

დრამა სამ მოქმედებად

შირვანზადეში

(თარგმანი სომხურიდან)

მ ო ქ მ ე დ ნ ი პ ი რ ნ ი:

მიჰრანა ალვერდიანი. ქალაქში სახელ განთქმული ვექილი, 35 წლისა.

ევგინე. ამისი ცოლი, 24 წლისა.

რიფსიმე მირველიანი. ევგინეს დედა, 50 წლისა, ქვრივი.

მართა ტერტერიანი. მიჰრანას და, 38 წლისა, ქვრივი, ყოფილი მასწავლებელი.

ჰამაზასპა ვარსამიანი. მიჰრანას დედის ძმის წული და თანაშემწე, 28 წლისა.

აბგარა სულთანიანი. ინჟინერ-ტექნოლოგი, ქარხნის პატრონი, მიჰრანას მეგობარი და მისი ტოლი.

არშაკ სარაფიანი. ევგინეს ბიძაშვილი, ნააფიცრალი, 36 წ.

გაბრო აზარიანი. 36 წლისა.

ზარუჰი გალამქარიანი. 35 წლისა.)
ბარსელ გალამქარიანი. 52 წლისა.) ცოლ-ქმარნი.

ერმონე ალვერდიანი. მოახლე.

გადამწერი.

მოქმედება პირველი

მოქმედება სწარმოებს დიდ ქალაქში ალვერდიანთ მდიდრულად მოჩრთულ სასტუმრო ოთახში. მარცხნივ ორი კარია სიდრმისა კედის სასალიდო ოთახში; ავანსცენისა ევგინეს საწოლ ოთახში. ამ ორ კარებ შუა სდგას ტახტი ძვირფასის მუთაქებით და ბალიშებით. სიღრმეში აგრეთვე ორი კარია, მარცხენა კედის წინა ოთახში, მარჯვენა მიჭრანას კაბინეთში. მარჯვენა კედელში ფანჯრებია ქუჩისაკენ. ამ კედლის ძირში სდგას როიალი, მის ახლოს მაგიდა, ზედ აწყვია მხატვრული ნიგთები, ფოტოგრაფიული სურათები თავის სტერეოსკოპით. მაგიდასთან მალალი საფეხურებით ბრინჯაოს დამფა ალბრეშუმის დიდი ალაყურით. შუაში სდგას დივანი, ირგვლივ მშვენიერ საგარძლებით. მარცხნივ ერთი საქანაო საგარძელი. ყველგან ოთახის თავისუფალ ადგილზე და მოხერხებულ კუთხეებში პატარა დაბალი რბილი საჯდომები. კედლებზე ჩამოკიდულია ფერადი წამლებით დახატული სურათები და გრავიურები. საზოგადოდ მთელ მოწყობილობას ახლად შეძენილი სიმდიდრის დადი ატეგია. ყველაფერი ახალია და თანამედროვე. საღამოს რვა საათია. ოთახი განათებულია. დიგნის წინ მაგიდაზე და როიალთან ბრინჯაოს დამფები სდგას.

გ ა მ ო ს ვ ლ ა I.

მართა და ერმონე

ფარდის ახდის დროს ერმონე ტიდოთი საგარძლებს სწმენდავს, მართა კი ბრინჯაოს დამფასთან ზის და წიგნსა კითხულობს.

მართა. ჩქარა, საქმე გაათავე, რვა საათს გადასულა, სამოვარი გვიანდება.

ერმონე. არ დაგვიანდება.

მართა. კიდევ შემებაასე? ახ არ, სომეხი ხარ და?

ერმონე. სომეხი რა არის მერე?

მართა. სომეხი გოროზია, გაუთლელია, უკმეხი, სიტყვის შემბრუნებელი.

ერმონე. სრულიადაც არა.

მართა. (დიმიდით) კარგი, წადი სამოვარი დადგი, თორემ გავანჩხლდები.

ერმონე. ნუ გაანჩხლდები, მივდივარ. (კედის მარცხენა სიდრმის კარებით სასალიდო ოთახში. მარცხენა მხრის ავანსცენის კარებიდან, საწოლ ოთახიდან გამოდის ევგინე).

გ ა მ ო ს ვ ლ ა II.

ევგინე და მართა

მართა. ბავშვმა დაიძინა?

ევგინე. ძლივს დაიძინა. (ჯდება როიალთან, უყურებს მართას. სიჩუმე) ღმერთო ჩემო, რა მოწყენილობაა უმიჰრანოთ.

მართა. (წიგნს დაკეტავს და მუხლზე დაიდებს) ერთი ნახევარი საათი დაგვიანდა და კიდევ მოიწყინე? ოჰ, შეყვარებულნო, შეყვარებულნო, მალე თოთხმეტი თვე შესრულდება, რაც დაქორწილდით, და ისე ხართ, თითქოს გუშინ დაგეწეროთ ჯვარი. ეგრე არ შეიძლება, ცოტა მოაკლეთ თქვენ სიყვარულის ცეცხლს. (იდიმება).

ევგინე. ნუ თუ არ გიხარიან, რომ შენი ძმა მიყვარს!

მართა. პირიქით, თითონ შენ კარგად იცი, რამდენად ძვირად მიღირს მიჰრანას ბედნიერება. შეიყვარე, ევგინე, მიჰრანა, ის იშვიათი ადამიანია.

ევგინე. მე ეხლა იმას უფრო კარგად ვიცნობ, ვიდრე შენ.

მართა. დიახ? მაშ კარგად გეცოდინება, რომ თუ გააჯავრე—გაუბედურდება.

ევგინე. (თავისუფალი ამოოხვრით) რად უნდა გავაჯავრო, როდესაც მიყვარს?

მართა. ის კი შენ პირდაპირ გაღმერთებს. იმას სხვაფრივ სიყვარული არ შეუძლიან. იმის ხასიათი შეურყეველია, მტკიცე და მთლიანი. მაგისთანა ადამიანები ვისაც შეიყვარებენ გულწრფელად უყვართ, წმინდა, დაუსრულებელ სიყვარულით. პირფერობა არ ეგონოს ევგინე და შენც იმასა ჰგევხარ. თქვენ ორივენი ერთ ხასიათისანი ხართ. საკვირველია, რომ ამბობენ, მხოლოდ კონტრასტებს უყვართ ერთმანეთი.

ევგინე. არ ვიცი, მე მაქვს იმის რომელიმე ღირსება თუ არა, ეს კია, რომ მიჰრანა მიყვარს და პატივსაცა ვცემ. ის სწორედ ისეთი ადამიანია, როგორიც დიდი ხანია ფიქრით წარმოდგენილი მყავდა და რომელიც გვიან გავიცანი. პატივსა ვსცემ იმის გულწრფელებას, გონების სიფხიზლეს. ნების ყოფას, დიახ ის ძლიერი ხასიათის ადამიანია. მხოლოდ ნიჭია მიზეზი, რომ ასეთი გონიერ ადამიანის სახელი აქვს გავარდნილი ჩვენს ქალაქში ასში ერთ ვექილს არა აქვს ისეთი სახელი, როგორიც მიჰრანას. (ადგება და დაიწყობს ბოლთის ცემას).

მართა. მოდი ერთი მაგ სიტყვებისთვის გაკოცო. (ადგება და ჭყონის) მეტად ამაღლებს შენს სახელს ეგ სიტყვა. ევგინე, შენ დამნახველი ყოფილხარ, და, სიკეთის დანახვა კი ამ ჩვენს დროში დიდი ღირსებაა. ან კი როგორ არ უნდა იყვე სიკეთის დამნახველი. მიჰრანა სხვებსავით არ იყო შეპყრობილი საერთო სენით, ის არ გაიტაცა მზითევმა და პირადმა ანგარიშმა ბევრ საცოლო ქალებში, აგირჩია შენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც არაფერი გქონდა, გარდა პირადი ღირსებისა. (გაჩუმდებდა, და უეურებს ეგგინეს, იდიმება) მხოლოდ იცოდე, ეგგინე, შეგიძულებ, თუ ერთხელ მაინც გააჯავრებ ჩემს მიჰრანას. შენ არ იცი, თუ რამდენად მეძნელება, როდესაც ვისმეს ვიძულებ.

ეგგინე. (უეურებს თვალებში, სტდიდობს გაიდიმოს) ვიცი... შენ თვალებში იხატება. (შემოდის ერმონე გაზეთებით ხელში)

ერმონე. (მართას გაზეთებს აძლევს) ხანჯალოვიანთ მოახლემ მოიტანა.

მარ. დიახ, მე ვთხოვე. (დადგება დამეთვასთან, სიჩქაროდ დებს ერთ გაზეთს და შინჯავს) სწორედ რს არის.

ეგგ. ეგ რა არის?



აგარაკი ს. უწერასთან (რაჭაში).

მარ. არაბაჯიანის თავის მოკვლის საქმის ანგარიში. (ეგგინე შეკრთება).

ერმონე. უთხოვნია, რომ ხვალ დილით უკან დამიბრუნეთო.

მარ. უთხარი, კარგი. (ერმონე გადის) მაშ, ამ საღამოსვე უნდა წავიკითხო. მხოლოდ ეხლა არ შემიძლიან. შაბათ საღამოა, სტუმრები მოვლენ.

ეგგინე. (ცნობის მოუყვრეობით) მანდ მთელი საქმეა დაბეჭდილი?

მარ. არ ვიცი, ჩემთვის საინტერესოა მხოლოდ პრესის აზრი.

ეგგინე. (წაართმევს გაზეთებს) მომე, მე პირდა წავიკითხო.

მარ. (გაოცებული) ეგრე რად წამართვი? გინდა—ერთად წავიკითხოთ.

ეგგ. არა, არა, ცალ-ცალკე... (უნდა წაიდეს).

მარ. სად მიხვალ?

ეგგ. ჩემ საწოლ ოთახში, წასაკითხად.

მარ. ეგრე რად ჩქარობ?

ეგგ. (ადელვებული) არაფერი, ისე.(ზარის ხმა) ოჰ, სტუმარია. შენ გაართე, მე ამ წუთასვე... (გადის იმავე კარებიდან, საიდანაც შემოვიდა).

მარ. (გაოცებული თვალს აყვნებს).

გამოსვლა III.

მართა და სარაფიანი

სარაფიანი. (შემოდის ფრაკით, ცოტა ნასვამია, მაგრამ თავს კარგად იჭერს) დაო მართა, ჩემი ღრმა პატივისცემა თქვენდამი...

მარ. ჰმ, კიდევ კარგ გუნებაზე გხედავ. ეგ საიდან?

სარაფ. ბურჟუაზიულ სადილიდან მოვდივარ. (ჩამჯდება საქანაო სავარძელზე) უკაცრავად, დაო მართა, ეს ესა ვარძელი მალე ანელებინებს. მირზა ჯანოვიანთ ვიყავ, თავიანთ მძახლიანთ პატივსაცემლად სადილი გაემართათ. ეე! ჩემო მართა, ჩვენი საზოგადოება განათლებულა. ეხლა გვთხოვენ, რომ ფრაკით წავიდეთ სადილზე. თხუთმეტი წლის განმავლობაში მირზაჯანოვიანთ ქალამნები შეცვლილა პრიალა ბაშმაკებზე, ბუხრის ქუდი ცილინდრზე, ჩოხა—ფრაკზე (ჟილეტის ჯიბიდან ამოიდებს ერთ სიგარას) შეიძლება? (მართა თანხმობის ნიშნად თავსა ჭხრის და დივანზე ჩამოჯდება) მერსი! დიახ, დიახ, დიდად დაწინაურებულა ჩვენი ერი (სიგარას ანთებს) ბატონ მირზაჯანოვს ჯერ კიდევ არ უსწავლია დანა-ჩანგლით საქმლის ჭამა. ლაქიას „პარდონს“ ეუბნება. მირზაჯანოვის ცოლი ამბობს: „ჩემი ქალი კა-დ-პატრას სწავლობს“, „ვაჟი ვალანჩელზე უკრავსო“ სომხურათ ლაპარაკს არც კი კადრულობს. ერთი სიტყვით დომხალია.

მარ. სადილი დიდ ხანს გაგრძელდა?

სარაფ. დიახ. მერე ახალგაზრდები დასხდნენ ბაკარას სათამაშოდ, მე ცოტა უყურე, გული ამემღვრა, ფული არა მქონდა, რომ ბედი მეცადნა. ჩემო მართა, ძალიან მოწყენილი ვარ, გული მელევა!

მარ. ცოლი შეირთეთ...

სარაფ. (გადმოაბრუნებს ჟილეტის ცარიელ ჯიბეებს) ამითი? საათიც კი არა მაქვს, დავაგირავე სასტუმროს პატრონთან.

მარ. რატომ არა მსახურობთ?

სარაფ. სამსახურს არავინ მაძლევს, ვის ვემსახურო? მე მპატიჟობენ სადილებზე, ვახშმებზე, საღამოებზე, მართმევენ რედერის შამპანიას, ჰანრი კლეინის ანუ უპმანის სიგარებს, სამსახურ კი არავინ არ მაძლევს.

მარ. სჩანს, უნიჭოდა გთვლიან.

სარაფიანი. უნიჭოდ? მე მთელი როტა მომივლია, ერთ ქეციან ბაღდასარას ან მათეოსას კანტორას ვერ მოუვლი? (დიდის) არა, ეგ არ არის მიზეზი, დაო მართა, ნიჭი მაქვს, მხოლოდ ვერ გავჩუმდები. ოო, გაჩუმება პირფეროობაზე სასარგებლოა მე ვიცნობ ისეთებს, რომელნიც ითვლებიან ჭკვიანებად, რადგანაც იციან გაჩუმება და ჩუმად ცხვირის ქექა. ცხვირის ქექა შესანიშნავი ნიჭია. (მართა იცინის) მაგრამ თქვენ იცინით. (ზარის ხმა) თქვენთან სერიოზული ლაპარაკი არ შეიძლება. აი სტუმრები. სანაძლეოს დავდებ, თუ გალამქარიანნი არ იყვნენ: ვინც უნდა იყოს, ისინი ყოველ შაბათს საღამოს აქ უნდა იყვნენ. (შემოდიან ცოდ-ქმარნი ზარუჭი და ბარსედ გადამქარიანები. ცოდი მდიდრულად ჩაცმული, ქმარს ძველი სერთუკი აცვია) უყურეთ?.. რომეო და ჯულიეტა.

ე. კ—ნისა.

(შემდეგი იქნება)

აგარაკი ს. უწერასთან (რაჭაში).

რედაქტორ-გამომცემელი **დ. ხრამელაშვილისა** ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „სინათლე“, ტფილისი, რუსის ქუჩა. № 3